

ზოგადი ქიმია (სამშენებლო, ენერგეტიკა, სამთო-გეოლოგიური, ქიმია-
მეტალურგია, სატრანსპორტო, ინფორმატიკა, აგრაარული)

II სემესტრი. 2017-2018 წელი

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

კითხვა 1

MgO, Cr(OH)₃, Na₂CO₃, H₃PO₄ ნივთიერებათა მოლეკულური მასების მნიშვნელობები შესაბამისად ტოლია:

აირჩიეთ ერთი:

- a. 40, 103, 106, 98
- b. 71, 40, 83, 58
- c. 81, 108, 126, 67
- d. 68, 115, 125, 95

კითხვა 2

რამდენი გრამია 5 მოლი გოგირდწყალბადი H₂S ?

აირჩიეთ ერთი:

- a. 100;
- b. 160;
- c. 170;
- d. 210

კითხვა 3

რამდენ მოლეკულას შეიცავს 4 გ წყალბადი H₂?

აირჩიეთ ერთი:

- a. $6.02 \cdot 10^{23}$;
- b. $12.04 \cdot 10^{23}$;
- c. $3.01 \cdot 10^{23}$;
- d. $9.03 \cdot 10^{23}$

კითხვა 4

ნივთიერების რა რაოდენობას შეადგენს 67,2 ლ ჟანგბადი (ნ.პ.)

აირჩიეთ ერთი:

- a. 3 მოლი;
- b. 0,5 მოლი;
- c. 2 მოლი;
- d. 2,5 მოლი

კითხვა 5

ატომის რიგობრივი ნომერი გვიჩვენებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. პროტონების რიცხვს;
- b. ატომურ მასას;
- c. ნეიტრონების რიცხვს;
- d. მასის დეფექტს

კითხვა 6

ჩამოთვლილი ნაწილაკებიდან რომელს აქვს უფრო მეტი პროტონი, ვიდრე ელექტრონი?

აირჩიეთ ერთი:

- a.
- b.
- c. Ca^{2+}
- d. N^{3-}

კითხვა 7

რომელი კვანტური რიცხვი განსაზღვრავს ენერგეტიკული შრეების რაოდენობას:

აირჩიეთ ერთი:

- a. s;
- b. l;
- c. m_s ;
- d. n;

კითხვა 8

თანაური ქვეჯგუფის ელემენტებს ევსებათ:

აირჩიეთ ერთი:

- a. s;
- b. p;
- c. d;
- d. f ქვედონე

კითხვა 9

რომელი ელემენტის ატომს შეესაბამება ელექტრონული ფორმულა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^5 4s^1$:

აირჩიეთ ერთი:

- a. Mn;
- b. Ca;
- c. Cr ;
- d. Al

კითხვა 10

ელემენტი რიგითი ნომრით 25 - მდებარეობს:

აირჩიეთ ერთი:

- a. V პერიოდის II თანაურ ქვეჯგუფში;
- b. III პერიოდის IV თანაურ ქვეჯგუფში;
- c. IV პერიოდის VII თანაურ ქვეჯგუფში;
- d. V პერიოდის I თანაურ ქვეჯგუფში.

კითხვა 11

ელემენტთა ლითონური თვისებები იზრდება რიგში:

აირჩიეთ ერთი:

- a. Li K Cs Fr
- b. Ba Sr Ca Mg
- c. Tl In Ga Al
- d. Pb Sn Ge Si

კითხვა 12

ქვემოთ აღნიშნულ ელემენტთა მწკრივებიდან, რომელი მათგანია დალაგებული ატომის რადიუსის ზრდის მიხედვით:

აირჩიეთ ერთი:

- a. N P As Sb
- b. K Ca Mg Be
- c. In Ga Al B
- d. Te Se S O

კითხვა 13

ქვემოთ აღნიშნული ელემენტებიდან, რომელ მათგანს გააჩნია გარე ენერგეტიკულ დონეზე ექვსი ელექტრონი?

აირჩიეთ ერთი:

- a. N
- b. Si
- c. Sb
- d. S

კითხვა 14

საზიარო ელექტრონული წყვილებით დამყარებულ ბმას ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. იონური;
- b. კოვალენტური;
- c. მეტალური;
- d. წყალბადური

კითხვა 15

რომელ ატომებს შორის წარმოიქმნება არაპოლარული კოვალენტური ბმა?

აირჩიეთ ერთი:

- a. Mg, O;
- b. H, Cl;
- c. Cl, Cl;
- d. Ca, Cl

კითხვა 16

რომელი ტიპის ჰიბრიდზაცია გვხვდება მეთანის CH_4 მოლეკულაში:

აირჩიეთ ერთი:

- a. sp;
- b. sp^2 ;
- c. sp^3 ;
- d. sp^3d

კითხვა 17

სხვადასხვა ნიშნით დამუხტულ იონებს შორის ელექტრონული მიზიდვის ძალებით დამყარებულ ბმა ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. კოვალენტური;
- b. იონური;
- c. ლითონური;
- d. წყალბადური

კითხვა 18

ბმა, რომელიც ხორციელდება ერთი ატომის ორელექტრონიანი ღრუბლის და მეორე ატომის თავისუფალი ორბიტალის ხარჯზე არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. იონური;
- b. დონორულ-აქცეპტორული;
- c. ლითონური;
- d. წყალბადური

კითხვა 19

ბმას, რომელიც წარმოიქმნება ერთი მოლეკულის წყალბადის ატომისა და მეორე მოლეკულის ძლიერ ელექტროუარყოფით ელემენტების ატომს შორის, ეწოდება:

აირჩიეთ ერთი:

- a. კოვალენტური
- b. იონური
- c. ლითონური
- d. წყალბადური

კითხვა 20

რომელი ელემენტები წარმოქმნიან მხოლოდ ფუძე ოქსიდებს:

აირჩიეთ ერთი:

- a. Ca, Na, Zn
- b. Al, K, Mg
- c. Na, Ca, Mg
- d. N, C, P